



ვებ გვერდი

11/02/2016

სარეგისტრაციო კოდი

010250000.35.152.016250

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N4

2016 წლის 5 თებერვალი

ქ.დუშეთი

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, სადარბაზოების და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 ივნისის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ადგენს:

მუხლი 1

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, სადარბაზოების და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 ივნისის N21 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 09/06/2015. 010250000.35.152.016228) შეტანილ იქნეს ცვლილება, კერძოდ:

1.დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 ივნისის N21 დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1 -ის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი სახლების, სადარბაზოების და ბინების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი N1-ის მუხლი 8 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

”მუხლი 8. გადაწყვეტილების მიღების წესი

1. გეოგრაფიული ობიექტის ნუმერაციის შესახებ ადმინისტრაციული წარმოება იწყება დაინტერესებული პირის ან/და ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივის საფუძველზე.

2. ნუმერაციის შესახებ ინიციატივა (განცხადება, მომართვა და ა.შ.) წარედგინება დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობას. ინიციატივას უნდა ერთვოდეს:

ა) ობიექტის აღწერა (ნახაზი, ორთოფოტო, საკადასტრო რუკა და სხვა);

ბ) დაინტერესებული პირის საკუთრების ან კანონიერი სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი;

გ) სხვა დოკუმენტაცია, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული და გამომდინარეობს მოთხოვნის შინაარსიდან.

3. განცხადებას საცხოვრებელი სახლების, სადარბაზოებისა და ბინების ნუმერაციის შესახებ განიხილავს დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფი, რომელიც „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით“ დადგენილ ვადებში გამგებელს წარუდგენს წინადადებას ნუმერაციის თაობაზე.

4. გამგებელი, სამუშაო ჯგუფის დასკვნის საფუძველზე, გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).

5. გამგეობა ვალდებულია, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სამართლებრივი აქტი (ბრძანება) დაუყოვნებლივ გადაუგზავნოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს, მონაცემთა ბაზაში ცვლილებების შეტანის მიზნით.”

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი